

კონსტრუქციიდან შემოქმედებამდე

სოლომონ კილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტურად ღია კოდს არ აქვს “საზღვრები”, ვინაიდან ის ღიაა ყოველი ინდივიდუალური კოდისთვის. ინდივიდუალური კოდი არ არის მხოლოდ ბიოლოგიური კოდი, ის არის კოდი, რომელიც შეიქმნა სულიერი ევოლუციის საფეხურებზე აღმასვლისას. თუ პიროვნებას ძალუძს საკუთარ “მე”-ში წარმოქმნას უნიკალური კონსტრუქცია, რომელიც ურთიერთმიმართული იქნება აბსოლუტურად ღია კოდისკენ, მაშინ ეს კონსტრუქცია უნდა იყოს აპერიოდულ-არაწონასწორული და ამვე დროს ჰარმონიული. ინდივიდუალური და აბსოლუტურად ღია კოდების ურთიერთმიმართებისას მათი სივრცეების შეხების ტოპოლოგია ნებისმიერ დროს მონაკვეთში უნიკალურია. ამ უნიკალურობას განაპირობებს პიროვნების საკუთარი “მე-ს საზღვრები”. შეუძლებელია გააზრებული მიზანსწრაფვისას აბსოლუტურად ღია კოდისკენ ინდივიდუალური აბსოლუტურად ღია კოდის სივრცეების “შეხების ადგილის” შერჩევა ხდებოდეს შემთხვევით. ინდივიდუალური კოდის უნიკალურობას შეესაბამება უნიკალური “ადგილი” აბსოლუტურად ღია კოდის სივრცეში. აბსოლუტურად ღია კოდის ღიაობა არსებითად გამორიცხავს შემთხვევითი დამახსოვრების პრინციპს. ამ კოდების ურთიერთმიმართებისას წარმოქმნილი კონფიგურაციული ცვლილებანი აგრეთვე არ შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ კოდირების პრინციპით.

ნებისმიერ დროში სამყაროს ყოველ სივრცულ მოცულობას გააჩნია რაიმე გარკვეული სტრუქტურა. სტრუქტურის კონსტრუქციად გადაქცევისათვის აუცილებელი პირობაა სტრუქტურის თავისუფლების ხარისხის გაზრდა. კონსტრუქცია არის სტრუქტურის ისეთი მდგომარეობა, როდესაც უკვე გავლილია “იერარქიული საფეხურები ანუ ხარისხები” აბსოლიტურად ღია კოდისაკენ. ასეთ კონსტრუქციას გამიზნული მოწესრიგების მექანიზმი გააჩნია. გამიზნული მოწესრიგებულობა შედგება “მახსოვრობის” უნარის მქონე ქვესისტემებისგან. ამ ქვესისტემებისგან აგებულ სისტემას კი აკისრია სრულიად გარკვეული ფუნქცია.¹ ქვესისტემების პოზიციების ცოდნა საშუალებას მოგვცემს, განვჭვრიტოთ სისტემის სუპერპოზიცია მომავალი მდგომარეობების მიმართ. უნდა ვეძიოთ და მიახლოებით მაინც “გავიაროთ” იმ გზის განშტოებანი, რომელსაც სტრუქტურებიდან შემოქმედებამდე მივყავართ.

შემოქმედება მაშინ არის ჰარმონიული მდგომარეობა დროსა და სივრცეში, თუ მის “ქმედით მექანიზმს” გააჩნია სწრაფი ცვლილებების უნარი. შემოქმედების ზესვლა განვითარების იერარქიულ ხარისხებზე ყოველი იერარქიული საფეხურის დამახსოვრების შედეგად მიიღწევა. სწორედ ამიტომ, თვით შემოქმედების ევოლუცია გაცილებით ნელა მიმდინარეობს. შემოქმედების პირველი საფეხური საოცარი სისწავით მიმდინარე პროცესია, რომელიც “დიდ ქმედით მოუწესრიგებლობას” წარმოშობს. ამ ქმედითი მოუწესრიგებლობის მიმართვა “ხანგრძლივი შემოქმედებისკენ”

¹ ჩვენი მოსაზრებანი ამ საკითხის ირგვლივ ეყრდნობა პროფ. ლევ ბლუმენფელდის კონცეფციას.

შესაძლებელი ხდება ორი ქვესისტემის ჰარმონიული შეპირისპირებით. პირველი ქვესისტემა ეს არის სტრუქტურის ის ნაწილი, სადაც ადგილი აქვს ძლიერ “ქმედით ძვრას”. აქ მოუწესრიგებლობა სწრაფად იზრდება და სტრუქტურის ამ ნაწილში შეუძლებელია თვალი მიადევნო “მახსოვრობითობის მექანიზმს”, მისი საოცრად სწრაფი განვითარების გამო.

შემოქმედების საწყისი ეტაპის “მოუწესრიგებლობა” თავისთავად მკაცრ ქვესტრუქტურებშია მომწყვდეული. იგი გარსიდან მხოლოდ გარკვეულ სივრცესა და დროში გამოდის. ეს ხდება სწორედ მაშინ, როდესაც მეორე ქვესისტემა არაწონასწორულ-წანაცვლებულ-დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფება და ამავე დროს ჰარმონიულ მიმართებაშია “მოუწესრიგებელ სტრუქტურასთან”. ამგვარი პროცესები წარმართავს სტრუქტურების განვითარებას კონსტრუქციებისაკენ, რომელთაც შემოქმედებითად ძალუძთ ფუნქციონირება. ამ პროცესის მიმდინარეობის მიუხედავად, შემოქმედებითი საწყისი პიროვნებაში ვერ განხორციელდება, თუ ის აბსოლოტურად ღია კოდთან ჰარმონიული ურთიერთმიმართების “გვირაბს” არ იპოვის. შემოქმედების პროცესის იერარქიული ქვემახსოვრობის მქონე დისკრეტული სისტემების “ინდივიდუალური ველი”, უპირველესად, სივრცულ ცვლილებას განიცდის, ხოლო, აქედან გამომდინარე, სიბრტყულს. სივრცის გარდასახვა სიბრტყეში უკვე არის მიმართება ქმედებისკენ, რომელსაც შემოქმედებით ძვრამდე მივყავართ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია წარმოდგენითაც კი მკაცრად გავმიჯნოთ სივრცე და სიბრტყე ურთიერთისგან. აქ საუბარია სიბრტყულობის და სივრცულობის მეტნაკლებობაზე. არსებითი განსხვავება სივრცულ და სიბრტყულ ცვლილებებს შორის გამოწვეულია ურთიერთმიმართულ ქვესისტემების არაიდენტურობისა და აპერიოდულობისგან. სწორედ ეს არაიდენტური და აპერიოდული სისტემები ქმნის სისტემათა “იერარქიულ ანსაბლურობას”, რომელსაც შეუძლია იაზროვნოს გამოსახულებითი შეპირისპირებით და ამავე დროს არ დაარღვიოს ჰარმონიული ურთიერთმიმართების კანონები. ყოველივე ამას მივყავართ “შემოქმედებითი პოზიციისკენ”. როგორც კი იწყება ამგვარი აზროვნება, ჩვენშივე და ჩვენს გარეთაც მაშინვე იწყება შემოქმედებითი ფუნქციის ჩამოყალიბების და შემოქმედებითი სამუშაოს შესრულების პროცესი. ეს იმას ნიშნავს, რომ სტრუქტურა, რომელიც იყო “ეგოისტური” ანუ თავისთავად მხოლოდ სტრუქტურა და სხვა არაფერი, ჩვენშივე იქცევა კონსტრუქციად, თუმცა, არც თუ ისე მცირე ნაწილი სტრუქტურისა აუცილებლად დარჩება “ეგოისტურ” სტრუქტურად. ჩვენი ინდივიდუალური და აბსოლიტურად ღია კოდების ურთიერთჰარმონიულობის შედეგად კი ეს კონსტრუქცია შემოქმედების საგნად განსახიერდება.

ზემოთ ვახსენე აბსოლოტურად ღია და ინდივიდუალური კოდი. ინდივიდუალურ კოდში არ იგულისხმება მხოლოდ გენეტიკური კოდი. ყოველი ადამიანის გენეტიკური კოდი უშუალო კავშირში იმყოფება ამ ადამიანის ფენოტიპთან, რომელიც გარე სამყაროსთან მიმართებაში განიხილება. ე.ი. ყოველი პიროვნების განუმეორებელი ინდივიდუალობა ვლინდება ფენოტიპის მიმართებისას აბსოლიტურად ღია კოდთან. გენეტიკური კოდი ინდივიდუალურ კოდთან შედარებით, “ჩაკეტილი სისტემაა”, თუმცა, რა თქმა უნდა, ის მაინც ღია კოდია. საერთოდ, არ არსებობს სისტემა, რომელიც მთლიანად იყოს ჩაკეტილი, მითუმეტეს, არ არსებობს შემოქმედების უნარის მქონე ასეთი სისტემა. ინდივიდუალური კოდი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ბიოლოგიური კოდის ჰარმონიული მიმართება დროსა და სივრცეში, “გარე ცოცხალ და არაცოცხალ” სამყაროსთან, თვით სახელწოდება

“ცოცხალი” და “არაცოცხალი” პირობითია. მეცნიერების მიერ ჯერაც დაუდგენელია, თუ რას უნდა ვუწოდოთ ცოცხალი და რას – არაცოცხალი.

აბსოლიტურად ღია კოდი აერთიანებს ინდივიდუალურ კოდთა სიმრავლეს, ანსამბლურობას ანიჭებს მათ, ამის გარეშე ისინი მახსოვრობის უნარის მქონე ის “აქტიური ცენტრები” იქნებოდნენ, რომელნიც ვერ განახორციელებდნენ იერარქიულ ზესვლას, ასე აუცილებელ შემოქმედების პროცესისათვის. “შემოქმედების სიცოცხლისათვის” დამახასიათებელია ზესვლის “ნახტომთა” არაიდენტურობა. სტრუქტურის სტატისტიკური ელემენტების განმეორადობა ერთგვარ პერიოდულ ხასიათს ატარებს. შემოქმედებითი საწყისის კონსტრუქცია კი ყოველთვის აპერიოდულია. სწორედ ამ შეპირისპირებიდან გამომდინარეობს “შემოქმედების მექანიზმის” მუშაობის პრინციპების საოცარი მიზანსწრაფვა; თვით სტრუქტურათა სისადავე და მათი შემადგენელი ნაწილების არამრავალფეროვნება სრულიად არ ნიშნავს, რომ ამ სტრუქტურებს მარტივი და ცალსახა ფუნქციები აკისრიათ. სტრუქტურის გარდასახვის პირველი ეტაპი გულისხმობს მის გადაქცევას შემოქმედების უნარის მქონე კონსტრუქციად.

ყოველ ინდივიდუალურ კოდს შეესაბამება უნიკალური ადგილი აბსოლიტურად ღია კოდში. ვინაიდან ეს კოდი, მართლაც, აბსოლუტურად ღია, სრული და მთილიანია, ამიტომ მისი წარმოდგენა, როგორც მხოლოდ და მხოლოდ მსგავსი ქვესისტემების კრებულისა - შეუძლებელია. საერთოდ, სიცოცხლისუნარიანი შემოქმედებითი სისტემისათვის ქვესისტემების იდენტურობა მომაკვდინებელია, რადგან ისინი პერიოდულ-რეგულარულ პროცესებს წარმართავენ. ახალი სახის სტრუქტურის შექმნის უნარი მხოლოდ შემოქმედებითი პროცესისათვის არის დამახასიათებელი და ამ ახალი სახის სტრუქტურის “სიახლე” ვლინდება მაშინ, როდესაც სტრუქტურას – გარკვეულ მოწესრიგებულობას სივრცესა და დროში – აქვს სწრაფვა აბსოლიტურად ღია კოდისაკენ ანუ მას აქვს კონსტრუქციად გადაქცევის ტენდენცია. თვით ეს კოდი კი უშუალოდ ან არაუშუალო ზემოქმედებით გავლენას ახდენს ყოველგვარ შემოქმედებით პროცესზე.

სიცოცხლისუნარიანი – შემოქმედებითი სისტემები არის იერარქიული ქვემახსოვრობის მქონე დინამიურ-აპერიოდული – ასიმეტრიული-დისკრეტული სისტემები. ყოველ სიცოცხლისუნარიან სისტემაში აუცილებლად არის “ჩაყინული” ერთი “არაცოცხალი” ქვესისტემა მაინც: “არაცოცხალი” ამ შემთხვევაში გაიგივებულია უფრო მდგრად არესთან, რომელიც თვითდადგინებისაკენ ისწრაფვის. სწორედ ამ “არის” საშუალებით ხორციელდება მახსოვრობითი კავშირი სიცოცხლისუნარიან სისტემაში მისსავე დანარჩენ, გაცილებით დიდ ნაწილთან. სიცოცხლისუნარიანი სისტემები ერთმანეთისაგან გამიჯნულნი არიან დისკრეტული არეებით. მდგრადი, თავის თავში დადგინებული მცირე არეებიდან დიდი ნაწილისაკენ გადასვლასაც არ ახახიათებს უწყვეტი განვითარება. შემოქმედებითი პროცესის დახვეწა მხოლოდ აბსოლიტურად ღია კოდთან ურთიერთჭარმონიულ მიმართებაში მიმდინარეობს. ეს ხდება შემოქმედების განვითარების “იერარქიული საფეხურის” დამახსოვრების დროს. სწორედ ამის გამო შემოქმედების ევოლუცია გაცილებით ნელი პროცესია, ვიდრე ზემოთ ნახსენები “ქმედებითი ძვრა” რომელიც უცილობლივ წინ უსწრებს შემოქმედებით პროცესს და ერთგვარი ბიძგით წარმართავს მას. შემოქმედების საწყის პერიოდში ცვლილების მიმდინარეობის საოცარი სისწრაფე გამოწვეულია სივრცისა და დროის რყევით. ეს კი მინიშნებაა იმისა, რომ შემოქმედმა უნდა იაზროვნოს არა მარტო გარკვეულ სივრცესა და დროში, არამედ ამ გარკვეულობის მიღმაც. ეს საშუალებას მისცემს მას გადაწყვიტოს კონკრეტული პრობლემები, რა თქმა უნდა, გარკვეული

ფლუქტუაციებით და, ამავე დროს, გაასივრცოს აზრი ანუ მთლიანობისაკენ – ღია სამყაროსკენ მიმართოს იგი, სწორედ ეს არის სუბიექტური იმპროვიზაციის წყარო – შემოქმედებითი წვის სათავე. ყოველ შემოქმედებით პროცესს მუდამ ახლავს თან მოუწესრიგებლობის და მოუწყობლობის გარდასახვა მიმართულ გააზრებულობაში. რაც უფრო დიდია ქმედებითი მოუწესრიგებლობა, ე.ი. რაც უფრო მცირეა სივრცული მოუწესრიგებლობიდან გარკვეულ მოუწყობლობაში ანუ სიბრტყულ მოუწესრიგებლობაში გადასვლის დრო, მით უფრო ნაკლებია რელაქსაციის დრო შემოქმედებისკენ. პიროვნების კოდში არსებული “მახსოვრობითი სისტემის მიმართულეზანი” მათზე აბსოლიტურად ღია კოდის ზემოქმედების გამო გაიელვებს და ადამიანის მთელ არსებას შემოქმედებითი პროცესისადმი განაწყობს; ეს არის არაცნობიერის მომავალი პროცესისადმი განწყობა. ამის შემდგომ იწყება შენელება პროცესისა ანუ გახსენება და გაცნობიერება იმისა, თუ რამ გაახვიოსნა ჩვენი არსება.

მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბედნიერმა შემთხვევითობამ წარმოშვა მთელი სამყაროს კანონზომიერება, მათ შორის ცოცხალი სისტემებიც, იმთავითვე მცადრია, რადგან ცოცხალი სისტემების პირველადი ჯაჭვის ყველა რგოლს უკვე გააჩნდა შემოქმედებითი პოტენციის ჩანასახი. შემოქმედების ეს ჩანასახი ცოცხალის მიერ თვითორგანიზებადი სისტემების წარმოქმნაში ვლინდება; ეს პროცესი ყოველთვის უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე იერარქიულ საფეხურზე აღმავალი ცოცხალი სისტემის ჯაჭვის ახლადწარმოქმნილი რგოლის შემთხვევითი დამახსოვრების მექანიზმის მუშაობის პროცესი. აქედან გამომდინარე, სწორედ გააზრებულობამ წარმოქმნა მისივე თანამდევი შემთხვევითობა და არა პირუკუ. ცოცხალი სისტემის განვითარებისას ხდებოდა მიღწეულის დამახსოვრება და ამავე დროს დისკრეტული იმპროვიზაცია – შემოქმედებისადმი ლტოლვა, არასოდეს განელებულა. თავიდანვე სწორედ აბსოლიტურად ღია კოდის არსში იყო ჩადებული შემოქმედებითობის საწყისი, ამით ცოცხალ არსებებს მიეცათ საშუალება, რომ თავიდან აეცილებინათ მონოტონურ_პერიოდული ცოცხლისათვის მომაკვდინებელი კანონზომიერება. არაცოცხალი სისტემები ვერ ასცდნენ ამგვარ კანონზომიერებას და ამიტომაც მათთვის დამახასიათებელი თვითწარმოქმნის პროცესი არ ხასიათდება შემოქმედებითი თავისუფლების იერარქიული აღზევებით. არაცოცხალი სისტემების ჩამოყალიბება გარკვეულ სტრუქტურებად, თავისუფლების ხარისხის ზრდის ტენდენციითაა განპირობებული.

პიროვნების შემოქმედებისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი ინდივიდუალობა ვლინდება მაშინ, როდესაც პიროვნების თავისუფალი ნება უშუალო ურთიერთმიმართებაშია აბსოლიტურად ღია კოდთან. ეს მიმართება ინდივიდუალური კოდის თავისუფლების ხარისხს გადასახავს თავისუფალ ნებად. შეუძლებელია როგორც ადამიანის ინდივიდუალური კოდის წარმოდგენა მატერიალურ სუბსტანციად, ასევე, თუნდაც, ცოცხლის გამიჯვნა არაცოცხალი სისტემისგან – ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის თვალსაზრისითაც კი. პრიმიტიული ცოცხალი სისტემების გაჩენისთანავე მათში ჩადებულია ერთი განუყოფელი თვისება – სტრუქტურებიდან შემოქმედების უნარის მქონე კონსტრუქციებად გადაიქცნენ.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მხატვრის მიერ დახატული ნახატი აპერიოდულ – დისკრეტულ ურთიერთმიმართებაშია თვით მის დამხატავთან. ამ შემთხვევაში ნახატი არის კოდი, რომელიც მხატვრის ინდივიდუალური კოდის ნაწილია. ესაა მხატვრის სულიერი განწყობილების დაფიქსირება გარკვეულ დროსა და სივრცეში. ინდივიდუალურ კოდს ახასიათებს “წანაცვლება” დროსა და სივრცეში და

წანაცვლება სხვა ინდივიდუალური კოდიების მიმართაც. აქედან გამომდინარე კოდთა ანსამბლების “ლიაობების” განლაგება ურთიერთშეპირისპირებული იერარქიული თანმიმდევრობით, დროსივრცულ სამყაროში აპერიოდულ – წანაცვლებული კონსტრუქციებით ხასიათდება. შედეგის შექმნისას ადგილი უნდა ჰქონდეს კოდთა ანსამბლების ურთიერთგამჭოლ ჰარმონიულობას.

შემოქმედების აქტი კვლავ გადადის “მშვიდ” მდგომარეობაში, როდესაც მხატვრის მიერ დახატული ნახატის კოდი პიროვნების ინდივიდუალური კოდის მიმართ გაწონასწორებულია, რაც საბოლოოდ უკვე შემოქმედებაზეც ახდენს გავლენას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Берже П., Помо И., Видадь К., Порядок в хаосе. М., «Мир», 1991.
2. Blumenfeld L.A. Physics of Bioenergetic Processes. Springer Verlag. Berlin Heidelberg New York. Tokyo, 1983.
3. Блюменфельд Л.А., Проблемы Биологической физики. М., «Наука», 1974; 2-е изд. 1977.
4. Блюменфельд Л.А., Решаемые и нерешаемые проблемы биологической физики. Москва, 2002
5. Леонардо да Винчи, Избранные произведения в 2-х томах; т. II., Москва-Ленинград, Academia. 1935
6. Декарт Рене. Избранные произведения; М. Госиздат политической литературы, 1950
7. Кант Иммануил, Сочинения, т. I., Изд. социально-экономической литературы, М., «Мысль» 1963
8. Мамардашвили М., Картезианские размышления. М., Изд. группа «Прогресс» «Культура» 1993
9. მამარდაშვილი მ, საუბრები ფილოსოფიაზე. თბილისი, ”მეცნიერება”, 1992
10. Николис Г., Познание сложного. Введение. М., «Мир», 1990
11. ჰაიდეგერი მარტინ, დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა. თბილისი “გონი”, 1992
12. Эллиот Дж., Добер П. Симметрия в физике. т.1. М., «Мир», 1983
13. Эткинс П., Порядок и беспорядок в природе. М., «Мир», 1987
14. Юм Давид, Сочинения, т.2. Изд. социально-экономической литературы. М., «Мысль», 1965
15. Winfree A.T., The geometry of Biological time. New York. Springer Verlag, 1980
16. Winfree A.T., The timing of biological clocks Scientific American Library, 1986
17. Kierkegaard S., Entweder – Oder, Gesammelte Werke. Abt. 1., Diederichs ver., Düsseldorf, 1964
18. Пригожин И., От существующего к возникающему. М., «Наука», 1985
19. Хайдеггер Мартин, Искусство и пространство. Самосознание европейской культуры XX века М., 1991, Изд. политической литературы

Article received: 2007-06-14

